დანართი №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს ,,თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა აკადემია“

შეფასების თარიღ(ებ)ი: 10 და 11 მაისი, 2022წ.

დასკვნის წარდგენის თარიღი: 31 მაისი, 2022წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	შპს „თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა აკადემია“
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	209451573

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი თბილისი
იურიდიული მისამართი	ქალაქი თბილისი, წმინდა ნინოს ქუჩა, N19, ქალაქი თბილისი, მუხიანის II მ/რ დუმბაძის და ნონეშვილის გამზირის გადაკვეთაზე ., (ნაკვეთი N3/18)
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქ თბილისის, მუხიანის II მ/რ, წმინდა ნინოს ქუჩა N19
საფოსტო ინდექსი	0172

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skola.com.ge/
დაწესებულების ელ-ფოსტა	private.school.academy@gmail.com
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	(+995 32) 2 637 607
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	ლევან ტიკაძე
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	(+995) 599 199 200
ელ-ფოსტა	levantikadze@gmail.com

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის, კახაბერ ერაძის 2022 წლის 19 აპრილის ბრძანება MES 1 22 0000402628 - ,, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა აკადემიაში ვიზიტის შესახებ “.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	10 და 11 მაისი, 2022წ.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	ლელა ჯაში
წევრი (სახელი, გვარი)	იზაბელა იოსელიანი
წევრი (სახელი, გვარი)	
წევრი (სახელი, გვარი)	
წევრი (სახელი, გვარი)	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☒	☐
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☒	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☒	☐
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით			
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)**	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)**	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)**	☒	☐
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)**	☒	☐
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☒	☐
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☒	☐
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☒	☐

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*ხარვეზი*
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
	1.2.	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.2.*	.....
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
	1.2.	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.1.*	.....
	2.2.	
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	შპს ,,ნიჭიერთა კერძო სკოლა-აკადემიას“ შემუშავებული და დამტკიცებული აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით ,,პედაგოგთა შეფასებისა და წახალისების ,,რეიტინგულ-დაგროვებითი სისტემა“, რომელიც ვრცელი (43 გვერდი) და შინაარსობრივად დატვირთულია. დოკუმენტის მიზანია, მასწავლებლის შეფასება, პროფესიული კომპეტენციის ამაღლება, უწყვეტი პროფესიული განვითარება და დაწესებულებაში სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ერთიანი, ინტეგრირებული სისტემის შექმნა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	აღსანიშნავია, რომ პედაგოგების შეფასება ხორციელდება რუბრიკების საფუძველზე, რომლებიც თან ერთვის დოკუმენტს. მასწავლებელს, რომელიც წლის ბოლოს შეფასების რუბრიკების მიხედვით დააგროვებს მაქსიმალურ ქულას და დადგენილი რეიტინგების სიაში აღმოჩნდება პირველ ადგილზე (ერთი წლის მონაცემებით) - გადაეცემა პორტატული კომპიუტერი. სკოლა ფინანსური ვალდებულებისგან ათავისუფლებს ერთი ოჯახის მესამე (და მეტ) მოსწავლეს. გარდა ამისა, წლიური ნიშნების საფუძველზე (უმაღლესი შეფასება ყველა საგანში), მოსწავლე მომდევნო სასწავლო წლის განმავლობაში გათავისუფლებულია სწავლის გადასახადისგან.

დაწესებულების მისია	შპს ნიჭიერთა კერძო სკოლა-აკადემია ზრუნავს ეროვნული ინტერესებისა და ტრადიციების დამცველი, კრიტიკულად მოაზროვნე, შემოქმედი, კომუნიკაბელური, ზნეობრივად, სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი მოზარდის ფორმირებაზე, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, მეცნიერული, ეკონომიკური და ბუნებრივი მონაპოვრების დაცვას, განვითარებასა და მომავალი თაობის მსოფლიო სივრცეში თვითრეალიზაციას.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 400	ექსპერტი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტი არ ეთანხმება ☐	

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ,,თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა-აკადემიის,, სასკოლო სასწავლო გეგმა განხილულ იქნა პედსაბჭოს სხდომაზე (N1, 07.09.2022წ.) და დამტკიცდა სკოლის დირექტორის მიერ 2021 წლის 7 სექტემბერს. სასკოლო სასწავლო გეგმა მოიცავს: **სკოლის მისია** (იხ. ზემოთ).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სწავლისა და სწავლების ძირითადი პრინციპები და მეთოდური ორიენტირები - ნარატიული ტექსტის თანახმად, საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში დგას თითოეული მოსწავლე, მისი განვითარების პროცესი და მიღწეული შედეგი. გათვალისწინებულია მოსწავლის ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობები და ასაკთან შესაფერისი ინტერესები. როგორც ირკვევა, სასწავლო პროცესში გამოიყენება პროგრამა ,,კითხვა და წერა კრიტიკული აზროვნებისათვის", რომელიც აგებულია კონსტრუქტივისტული და თანამშრომლობითი სწავლების მიდგომებზე. სკოლის ყველა მასწავლებელი (დოკუმენტის თანახმად), ფლობს გააზრებული კითხვის სტრატეგიებსა და მეთოდებს, იცნობს მრავალმხრივი ინტელექტის თეორიას და შეუძლია მისი გამოყენება მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გასაუმჯობესებლად. დიდი ყურადღება ექცევა სკოლაში საგანთა ინტეგრირებას. გარდა ამისა, დანერგილია ისეთი სასწავლო პროგრამები და ხორციელდება პროექტები, რომლებიც ხელს უწყობენ ცოდნის პრაქტიკაში დანერგვას (სასკოლო-სასწავლო გეგმა, მუხლი 2.2.). სკოლის მიზნები და ამოცანები საფეხურების მიხედვით განხილულია სასკოლო სასწავლო გეგმის 2.3. მუხლში და სწავლების საფეხურების შესაბამისად განსაზღვრავს მისაღწევს შედეგებს. **საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება** - მოიცავს მონაცემებს სასწავლო კალენდარის, დღის რეჟიმისა და კლასებში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობის თაობაზე. სასწავლო წლის კალენდარი შესაბამისობაშია საჯარო სკოლების სტანდარტულ კალენდართან. არდადეგების და უქმე დღეების რაოდენობაც იდენტურია. თითოეულ კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება ,,18" - ით. კლასების დაყოფა დასაშვებია უცხოურ ენებში, თუ მოსწავლეთა რაოდენობა 16 ან მეტია. **სკოლის საათობრივი ბადე** - როგორც ირკვევა, სკოლას გარკვეული ცვლილებები შეტანილი აქვს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სტანდარტულ საათობრივ ბადეში. კერძოდ, პირველ უცხოურ ენაში (ინგლისური ენა), კვირეული საათების რაოდენობა გაზრდილია VIII-XII კლასის ჩათვლით. მეორე უცხოური ენა (რუსული ენა), ისწავლება III კლასიდან (ნაცვლად V კლასისა, 2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	კვირეული საათი დატვირთვით). საათების რაოდენობა განსხვავებულია საგანში ,,ქართული ენა და ლიტერატურა,, (V-XII კლასებში კვირეული დატვირთვა 5 - ის ნაცვლად, 6 საათია). საათობრივი დატვირთვა გაზრდილია მათემატიკაშიც. გარდა ამისა, სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დამატებით საგანს - ჭადრაკი- კვირეული 2 საათი დატვირთვით II და III კლასებში. I კლასის მოსწავლეებს, კი ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ სავალდებულო საგანს - ,,ზღაპრის გაკვეთილი“. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტების რეკომენდაცია და სკოლის საათობრივი ბადე შესათანხმებლად გადაიგზავნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (წერილი N18, 10.05.2021წ., რეკომენდაციის საფუძველი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ეროვნული სასწავლო გეგმის'' 56 - ე მუხლი). სასკოლო-სასწავლო გეგმაში მოცემულია ინფორმაცია მასწავლებელთა საათობრივი გადანაწილების თაობაზე, აგრეთვე, კლასის კურატორთა მონაცემები (სახელობითი სია). **საგნობრივი კათედრები** - სკოლაში 5 საგნობრივი კათედრაა შექმნილი. კერძოდ: 1. დაწყებით სწავლების კათედრა (I-IV კლასები); 2. ქართული ენისა და ლიტერატურის და საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა; 3. ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა; 4. უცხოური ენების კათედრა; 5. სპორტის, ხელოვნებისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრა. კათედრების ფუნქციები, მოწყობა, სხდომების ჩატარების სიხშირე დეტალურად არის გაწერილი. გარდა ამისა, თითოეულ კათედრას შედგენილი აქვს დებულება, რომელიც არეგულირებს მათი მუშაობის პრინციპებს, მიზნებს და ამოცანებს. **კლასის კურატორის საქმიანობის ამოცანები და მიზნები** - სასკოლო-სასწავლო გეგმის მე - 5 მუხლი ეთმობა კლასის კურატორის სამუშაო აღწერილობას და მასზე დაკისრებულ ფუნქციებს. დოკუმენტი ავალდებულებს კლასის კურატორს აწარმოოს საქაღალდე, რომელშიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ორგანიზებული იქნება მის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. სადამრიგებლო საათის ჩატარების სიხშირე, თემატიკა და უნარ-ჩვევებზე ორიენტირებული აქტივობები მიზნობრივია და ხელს უწყობს მოსწავლეების სოციალურ და პიროვნულ განვითარებას. სასკოლო-სასწავლო გეგმას დანართად წარმოდგენილი აქვს კლასის კურატორების (სულ 16) სამოქმედო გეგმები, რომლებიც მოიცავენ ინფორმაციას სასწავლო წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების, განხორციელების ვადებისა და ,,შემოწმების წყაროების'' თაობაზე. სასკოლო-სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია სკოლის მიერ შერჩეული **სასწავლო მასალები და გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეების და საგნებით მიხედვით.** **ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამები,** რომლებიც ხორცილდება მოსწავლეებისათვის შემდეგია: 1. ზღაპრის გაკვეთილი (I კლასი); 2. ჭადრაკი (II-III კლასი); სასკოლო სასწავლო გეგმაში აღწერილია ზემოაღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები, აქტივობები, რესურსები და ა.შ. **მოსწავლის აკადემიური მიღწევის და შეფასების წესი** განხილულ იქნება ქვემოთ, ქვესტანდარტში 1.4. სასკოლო-სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია ინფორმაცია გამოცდების ტიპების შესახებ. მათ შორის, ინფორმაცია წლიური გამოცდების თაობაზე. აღსანიშნავია, რომ საბაზო და საშუალო საფეხურზე 2021-2022 სასწავლო წელს სკოლას დაგეგმილი აქვს წლიური გამოცდები სხვადასხვა დისციპლინებში (2-2 გამოცდა). როგორც სასკოლო-სასწავლო გეგმიდან ირკვევა, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს სემესტრულ, შემაჯამებელ წერასაც, რომელიც სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ ტარდება. სკოლის სასკოლო-სასწავლო გეგმაში იყო ჩანაწერი საატესტატო გამოცდების შესახებაც. თუმცა, სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ვიზიტის განხორციელებამდე უზუსტობის შესახებ მათთვის უკვე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ცნობილი იყო და შესაბამისი ცვლილებაც უკვე ასახული იყო დოკუმენტში. **დისტანციური სწავლების ორგანიზება** - სასკოლო - სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია ინფორმაცია დისტანციური სწავლების ორგანიზების შესახებ. ინტერვიუირებისას როგორც მშობლები, ისე მოსწავლეები ადასტურებდნენ, რომ ელექტრონული სწავლება სკოლაში წარმატებით დაიგეგმა და განხორციელდა. **ინკლუზიური განათლება** - განხილული იქნება ქვესტანდარტში 1.3
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო-სასწავლო გეგმა; • სკოლის საათობრივი ბადის შეთანხმების წერილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ - N18, 10.05.2021წ.; • ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში მიმდინარე პროცესები უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის ნიჭისა და უნარის გამოვლენას და განვითარებას. როგორც სკოლის ადმინისტრაციასთან საუბრისას ირკვევა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდებაც, სწორედ ამიტომ არის შერჩეული. სკოლაში მიმდინარეობს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესი - წარმოდგენილია კომპლექსური დავალებების ნიმუშები ყველა დისციპლინის შესაბამისად. გარკვეულ კლასებში ისევ თემატურ - კალენდარული გეგმის შესაბამისად იგეგმება და ხორციელდება სასწავლო პროცესი. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით განხილულ იქნა საგნის ,,ქიმია“ მე - 9 კლასის კომპლექსური დავალების ნიმუში. როგორც გაირკვა, მასში გამოკვეთილია სამიზნე ცნებები და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები, ქვეცნებები, საკვანძო შეკითხვები, კომპლექსური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დავალების შეფასების კრიტერიუმები, გამოსაყენებელი რესურსები, აქტივობების ჩამონათვალი და ა.შ. გარდა ამისა, სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ვხვდებით შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმას და საკმაოდ ვრცელ (40 გვერდი) და შინაარსობრივად დატვირთულ დოკუმენტს - ,,საგნობრივი კათედრების მიხედვით საგნებში შემაჯამებელი დავალებების სემესტრული ანალიზი“ (2021-2022 სასწავლო წლის I სემესტრი). როგორც ირკვევა, შემაჯამებელი დავალებების ფორმები განსხვავებულია და მოიცავს შერეულ ტესტებს (ღია და დახურულ ბოლოიანი კითხვებით), დისკუსიას, პრეზენტაციას, ესეს, ანალიზს, თხზულებას და ა.შ. გარდა სტატისტიკური მონაცემებისა, გამოკვეთილია მოსწავლეთა წინაშე არსებული გამოწვევებიც. მითითებულია ის მიგნებები და გზები, რომლებიც კონკრეტული პრობლემების აღმოფხვრას განაპირობებს. გრაფიკული გამოსახულებები, კიდევ უფრო მკაფიოდ წარმოაჩენს თუ რა მიმართულებით უნდა გააქტიურდეს კათედრა და პედაგოგები. რაც შეეხება ღირებულებათა ნაწილს, გარდა იმისა, რომ საგნობრივი დისციპლინებში არის ინტეგრირებული, სკოლას წარმოდგენილი აქვს კურატორების (დამრიგებლების) თემატური გეგმები, სადაც სადამრიგებლო საათის ფარგლებში გაწერილი აქტივობები უზრუნველყოფს: მოსწავლის პიროვნულ და ზნეობრივ განვითარების, წიგნიერების კომპეტენციის ამაღლებას, გარემოს დაცვით კულტურას და ცხოვრების ჯანსაღ წესს და ა.შ. - აღნიშნული დოკუმენტიც საინტერესო და დეტალურია (31 გვერდი) და აღწერს დამრიგებლის მიერ განსახორციელებელ ყველა ნაბიჯს - შეხვედრების თემატიკას, თემატური ერთეულების მიზანს, მეთოდებს (სტრატეგია, აქტივობა), გამოყოფილ დროს და საჭირო რესურსს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• თემატური მატრიცები და კომპლექსური დავალებების ნიმუშები; • შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმა; • ,,საგნობრივი კათედრების მიხედვით საგნებში შემაჯამებელი დავალებების სემესტრული ანალიზი“ (2021-2022 სასწავლო წლის I სემესტრი); • კურატორების (დამრიგებლების) თემატური გეგმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო აქტივობები მოსწავლეთა ინტერესებზეა მორგებული და აკადემიური და სოციალური უნარების განვითარებაზე ორიენტირებული. საინტერესო აღმოჩნდა ექსპერტებისათვის სკოლის მიერ I კლასის მოსწავლეებისათვის შეთავაზებული ,,ზღაპრის გაკვეთილი“ (სავალდებულო აქტივობა), რომლის მიზნებს შორისაა ისეთი უნარების განვითარება, როგორებიც არის: მოსმენილი და წაკითხული მხატვრული ნაწარმოების დაკავშირება პირად გამოცდილებასთან, საკუთარი ინტერესების მიხედვით საკითხავი ლიტერატურის შერჩევა და ა.შ. სასკოლო სასწავლო გეგმაში დეტალურად აქვს განხილული ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული ასპექტები. კერძოდ, მოცემულია მონაცემები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის იდენტიფიცირების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის დამუშავების მექანიზმების, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების, დასწრებისა და გაცდენების, სსსმ მოსწავლის შინ სწავლების შესახებ. სკოლამ ექსპერტების მოთხოვნის საფუძველზე წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში. ამ ეტაპზე, სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე არ ირიცხება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო-სასწავლო გეგმა; • ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში; • ინტერვიუ სკოლის თანამშრომლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო-სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია მონაცემები სკოლის შეფასების სისტემის შესახებ. როგორც ირკვევა, შეფასების პრინციპები და მიდგომები მოსწავლის განვითარებაზეა ორიენტირებული და განაპირობებს მათი მიღწევების და შესაძლებლობების მრავალმხრივ განვითარებას და გამოვლენას, სხვადასხვა პოტენციალის მქონე მოსწავლეთათვის თანაბარი პირობების შექმნას. შეფასების სხვადასხვა ფორმა და სკოლის მიერ შედგენილი მრავალფეროვანი რუბრიკები - პროცესებს მოსწავლეზე ორიენტირებულს ხდის. შეფასების ტიპები (განმსაზღვრელი და განმავითარებელი), კომპონენტები (საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი) შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლაში შეფასების ერთ-ერთი მძლავრი ინსტრუმენტი - რუბრიკებია. აღსანიშნავია, რომ რუბრიკების შექმნაში ჩართულია მთელი სასკოლო საზოგადოება. სასწავლო წლის დასაწყისში ყველა მშობელს ელექტრონულ ფოსტაზე ეგზავნება რუბრიკები - ისინი ეცნობიან კრიტერიუმებს და შესაბამისად, ინფორმირებულები არიან სკოლაში არსებული შეფასების პრინციპების თაობაზე. სასკოლო სასწავლო გეგმაში განმარტებულია, რომ იმ შემთხვევაში, თუ რუბრიკების ან შეფასების სხვა საშუალებების და სქემების ჯამური ფორმულა აღემატება 10-ს, ხორციელდება მისი კონვერტაცია შემუშავებული ფორმულის საშუალებით. წარმოდგენილ რუბრიკებს შორისაა კათედრების მიერ შექმნილი რუბრიკები, რომლებიც როგორც კონკრეტულ დისციპლინებში აგრეთვე, გარკვეულ აქტივობებში აფასებს მოსწავლეებს. გარდა ამისა, წარმოდგენილია დაწყებითი კლასების მოსწავლეების შეფასებისათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	განკუთვნილი ინსტრუმენტიც, რომლის საფუძველზე ხორციელდება მოსწავლეების წლიური შეფასება-დახასიათება. მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირებისთვის წელიწადში ორჯერ, ყოველი სემესტრის ბოლოს, ტარდება სასკოლო შემაჯამებელი წერები. შედეგების ანალიზის საფუძველზე, კი დგინდება შემდგომი ინტერვენციები. მოწოდებული დოკუმენტაციის განხილვისა და ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში სკოლის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კომუნიკაციის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა და მისი დანართი-შეფასების რუბრიკები; • საგნობრივი კათედრების საქაღალდეები (შეფასების რუბრიკები დისციპლინების შესაბამისად); • ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირება კლასის კურატორების ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა. როგორც ირკვევა, ყოველი კვირის ბოლოს იგი აგროვებს ინფორმაციას მოსწავლეთა მიღწევების და ყოფაქცევის შესახებ და აცნობს მშობლებს. კურატორების სამოქმედო გეგმებიდანაც ჩანს, რომ მათი საქმიანობის ერთ-ერთი მიზანი სწორედ მშობლებთან თანამშრომლობა და მუდმივი კომუნიკაციის უზრუნველყოფაა, რაც ხორციელდება მშობელთა კრებების ჩატარებით, ინდივიდუალური შეხვედრებით თუ კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. ელექტრონული ჟურნალი (EduPage), რომელსაც სკოლა იყენებს, ზრდის მშობელთა ინფორმირებულობის ხარისხს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლის შინაგანაწესი დეტალურად არის გაწერილი მშობლის უფლება-მოვალეობები, რომლის თანახმად, მშობელს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია მასწავლებლისა და სკოლის ადმინისტრაციისაგან სკოლის ფუნქციონირების ნებისმიერ საკითხზე, ტელეფონით დაუკავშირდეს კლასის კურატორს შვილის აკადემიური მოსწრებისა და ყოფაქცევის შესახებ ინფორმაციის მისაღებად, ასევე შეუთანხმდეს მას შეხვედრაზე. მშობლებისათვის შვილის შესახებ ინფორმაციის კოორდინირებული მიღების მიზნით, სკოლაში საგანგებოდ დაწესებულია მშობლის დღე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• კურატორის სამოქმედო გეგმები; • სკოლის ელექტრონული ჟურნალი; • სკოლის შინაგანაწესი; • ინტერვიუ სკოლის თანამშრომლებთან და მშობლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო გეგმის მე -11 მუხლი - ,,სასკოლო სასწავლო გეგმის მონიტორინგის და განვითარების აღწერა“ - მოიცავს სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმებს. კერძოდ, ყოველი სემესტრის ბოლოს სკოლის პედაგოგები, კურატორები, კათედრის ხელმძღვანელები და სკოლის ფსიქოლოგი დირექციაში წარადგენენ გაწეული საქმიანობის ანგარიშს. სასწავლო ნაწილი სასწავლო-სააღმზრდელო დარგში, მოწოდებული დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე, ადგენს ერთიან ანგარიშს - აღწერს სკოლის წინაშე მდგარ გამოწვევებს და მათი გადაჭრის შესაძლო გზებს. დირექცია ატარებს მშობელთა, მასწავლებელთა და სკოლის მოსწავლეების სოციოლოგიურ გამოკვლევას სკოლის მართვის, სწავლა-სწავლების, სასწავლო პროცესის დაგეგმვის და შეფასების, სასწავლო გარემოს შეფასების მიმართულებით, რის საფუძველზეც შეიმუშავებს კვლევის ანგარიშს და რეკომენდაციებს სასკოლო-სასწავლო გეგმის გაუმჯობესებისათვის, ასევე, განსაზღვრავს სტრატეგიული გეგმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	პრიორიტეტებს და წარადგენს პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე განსახილველად. ზემოაღნიშნული პროცესები დეტალურად ასახულია კვლევის ანგარიშში, რომელიც 2020-2021 სასწავლო წლის მაისი-ივლისის ჩათვლით სკოლის ადმინისტრაციამ განახორციელა შპს ,,თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა-აკადემიაში,,. კვლევის მიზანს წარმოადგენდა დადგენილიყო სკოლის მდგომარეობა რამდენიმე მიმართულების მიხედვით. კერძოდ: 1. სკოლის მართვა და გადაწყვეტილებები; 2. სწავლება და სწავლა; 3. დაგეგმვა-შეფასება; 4. პროფესიული განვითარება; 5. სკოლის კულტურა (გარემო, შიდა და გარე ურთიერთობები). კვლევის მეთოდად გამოყენებულ იქნა წინასწარ შემუშავებული კითხვარებით ანკეტირება, დოკუმენტების ანალიზი, ფოკუს-ჯგუფი. აღსანიშნავია, რომ დოკუმენტის თითოეული საკვლევი საკითხის ქვემოთ წარმოდგენილია დასკვნები, საიდანაც ირკვევა, თუ რა მიღწევები აქვს სკოლას და რა მიმართულებით არის გასააქტიურებელი სკოლის თანამშრომელთა მუშაობა. ანგარიშის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია საერთო შენიშვნები და დასკვნები (ხუთივე მიმართულებასთან მიმართებით) და ითვალისწინებს ძლიერ მხარეებს, სუსტ მხარეებს და რეკომენდაციებს. განხილული დოკუმენტაცია საინტერესო, მიზნობრივი და საკმაოდ ინფორმატიულია, რაც საშუალებას აძლევს ექსპერტებს ივარაუდონ, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები სკოლაში ეფექტურად არის დაგეგმილი და განხორციელებული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა; • მშობელთა, მასწავლებელთა და სკოლის მოსწავლეების სოციოლოგიურ გამოკვლევები - კითხვარები; • სკოლის პედაგოგების, კურატორების, კათედრის ხელმძღვანელების და სკოლის ფსიქოლოგის გაწეული საქმიანობის ანგარიშები; • კვლევის ანგარიში; • ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან.

20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა-აკადემია“ განთავსებულია საკუთრებაში არსებულ შენობაში. შენობა 3 სართულიანია. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია სკოლის შენობა შეადგენს 2546.00 კვ.მ., შენობის საერთო სასწავლო ფართი - 1676.00 კვ.მ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია ერთი საკლასო ოთახი, სპორტული დარბაზი (გასახდელებით), საიზოლაციო ოთახი, სადეზინფექციო საშუალებებისათვის განკუთვნილი ,,სასაწყობე,, ოთახი, სააქტო დარბაზი, სასადილო, სკოლის უსაფრთხოების თანამშრომლისთვის განკუთვნილი ოთახი, სველი წერტილები. მეორე სართულზე განთავსებულია საკლასო ოთახები, დირექტორის, ადმინისტრაციის და ფსიქოლოგის კაბინეტები, კომპიუტერული კლასი (ლაბორატორია), სველი წერტილები (მათ შორის, ადაპტირებული). მესამე სართულზე - საკლასო ოთახები, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სამასწავლებლო, ჭადრაკის სწავლებისათვის განკუთვნილი საკლასო ოთახი, ექიმის კაბინეტი, ბიბლიოთეკა (უჭირავს ორი ოთახი), სველი წერტილები.
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქ თბილისის, მუხიანის II მ/რ, წმინდა ნინოს ქუჩა N19
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	ზონა 01, სექტორი 11, კვარტალი 13, ნაკვეთი 003/253 და #01.11.13.003.253
კვ.მ.	2546 კვ.მ
მტკიცებულებები/ინდიკატორები	• ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებაში 16 საკლასო ოთახია, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. კერძოდ: მოსწავლეთა მერხები და სკამები, მასწავლებლების მაგიდები, დაფები, წიგნის კარადები და სხვა სასწავლო ინვენტარი. საკლასო ოთახებში და კაბინეტებში არსებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მერხებისა და სკამების რაოდენობა შეადგენს 258 ერთეულს (ვიზიტის პერიოდში, სკოლაში 177 მოსწავლე ირიცხებოდა), დანარჩენი მერხები დასაწყობებულია. საერთო ჯამში, სკოლაში 400 - ზე მეტი სასკოლო მერხი და სკამია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • სასაქონლო ზედნადებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობის პირველ სართულზე განთავსებულია სპორტული დარბაზი ორი გასახდელით, სადაც ფიზიკური აღზრდის და სპორტის გაკვეთილებთან ერთად მოსწავლეებს სთავაზობენ კალათბურთს, ფეხბურთსა და ფრენბურთს. სპორტული დარბაზი აღჭურვილია შესაბამისი სპორტული ინვენტარით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • სასაქონლო ზედნადები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში ფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო საგნების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია-ანატომია) ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, შემუშავებულია და თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ლაბორატორიით სარგებლობის და უსაფრთხოების წესები. ლაბორატორიაში კარადებში განთავსებულია სხვადასხვა ქიმიური რეაქტივები, თვალსაჩინოებები, სასწავლო რესურსები. ლაბორატორია აღჭურვილია გამწოვი კარადით, მოწყობილია სველი წერტილი ნიჟარით, ლაბორატორიის სივრცეში განთავსებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროების მერხები სკამებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ლაბორატორიის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; • ლაბორატორიით სარგებლობის და უსაფრთხოების წესი; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი გარემო. ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. დაწესებულება უზრუნველყოფილია ელექტროენერგიის უწყვეტი მიწოდების სისტემით (შპს თბილისის ელექტრომიმწოდებელი კომპანია). გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის, სკოლას გააჩნია გენერატორი. სკოლაში მოწყობილია გათბობის ცენტრალური სისტემა. თითოეულ სართულზე განთავსებულია 2 სველი წერტილი. მეორე სართულზე ადაპტირებული სველი წერტილია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • კომუნალური მომსახურების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ბიბლიოთეკა განთავსებულია III სართულზე, ორ ოთახში. ერთ ოთახში მოწყობილია საცავი, ხოლო მეორეში - სამკითხველო დარბაზი. სკოლის წიგნადი ფონდი შეიცავს გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მხატვრულ, სამეცნიერო, ტექნიკურ ლიტერატურას, ენციკლოპედიებს, პერიოდულ გამოცემებს. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია: რეგისტრაციის საინვენტარო წიგნი, მკითხველთა (მოსწავლეთა და პედაგოგთა) ფორმულარები და ანბანური და სისტემური კატალოგები, მკითხველთა ბიბლიოთეკით სარგებლობის აღრიცხვის ჟურნალი. წიგნები თაროებზე განლაგებულია თემატურად. ადგილზე შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებული სასწავლო ლიტერატურა, სახელმძღვანელოების კომპლექტები; შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. ბიბლიოთეკაში დგას ქსეროქსის აპარატი და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი. სკოლის ბიბლიოთეკის საკუთრებაში არსებული წიგნადი ფონდის საერთო რაოდენობა შეადგენს 4118 ერთეულს. სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ააიპ ,,საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან,,. ხელშეკრულების საფუძველზე (#2011-2/11-22.03.2011წ), სკოლა გადავიდა open biblio-ს ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის მოხმარებაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • წიგნების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; • ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი; • ინტერვიუ ბიბლიოთეკართან; • ხელშეკრულება open biblio-ს ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის მოხმარებაზე.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შემოსასვლელში დამონტაჟებულია პანდუსი. დაწესებულების შიდა კიბეებზე შესაძლებელია განთავსდეს მოძრავი, დასაკეცი პანდუსი, რომელიც დასაწყობებული წარმოადგინა სკოლამ (ამ ეტაპზე, არ ჰყავთ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ეტლით მოსარგებლე პირი). მეორე სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. კერძოდ, სკოლის მფლობელობაშია 16 ერთეული ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი და 3 ერთეული პორტატული კომპიუტერი, 2 პრინტერი, 5 კომბინირებული პრინტერ-ქსეროქსის აპარატი და 1 პროექტორი. ფუნქციონირებს ერთი კომპიუტერული კლასი, სადაც განთავსებულია 11 კომპიუტერი. სკოლა სარგებლობს მაღალსიხშირიანი ინტერნეტით, ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება, წარმოდგენილია ვებგვერდის ფუნქციონირებისთვის დომენის და ჰოსტის ფლობის დოკუმენტები. სკოლას აქვს ვებ.გვერდი www.skola.com.ge, რომელსაც საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქცია აქვს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დოკუმენტაცია; • ინტერნეტპროვაიდერთან დადებული ხელშეკრულება; • დომენის და ჰოსტის ფლობის დოკუმენტები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შენობაში დამონტაჟებულია სახანძრო სიგნალიზაცია (სამისამართო) და სახანძრო სიგნალიზაციის მართვის მიმღებ-მაკონტროლებელი პულტი. ყველა სართული უზრუნველყოფილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით (ცეცხლმაქრებით, სახანძრო სტენდით, სახანძრო დეტექტორებით და სხვ), თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ხანძარსაწინააღმდეგო წესები - შესაბამისი საინფორმაციო პოსტერები, თვალსაჩინოა გადაუდებელი შემთხვევების დროს აუცილებელი საკომუნიკაციო არხების საკონტაქტო ტელეფონებიც. შენობა უზრუნველყოფილია საევაკუაციო კიბით, აქვს 4 გასასვლელი. სკოლას საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის კუთხით მომზადებული ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკური მუშაობის ჯგუფი. სკოლის დირექტორის N58, 14.09.2021წ. ბრძანებით შექმნილია საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის შტაბი და შემუშავებული აქვს სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქცია, რომელიც ადგენს სახანძრო უსაფრთხოების ზოგად მოთხოვნებს სკოლის ტერიტორიაზე, შენობაში და სავალდებულოა შესასრულებლად სკოლის პედაგოგების, ტექნიკური პერსონალისა და მოსწავლეებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება; • მიღება-ჩაბარების აქტი; • ბრძანება საგანგებო შტაბის შექმნის თაობაზე; • სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქცია (დებულება); • სასაქონლო ზედნადები; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებაში ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების ექიმის კაბინეტი განთავსებულია სკოლის მე-2 სართულზე და მოწყობილია კანონმდებლობის შესაბამისად. აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით (სამედიცინო, საწოლი, საკაცე, კარადა მედიკამენტებისათვის), სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო ფარმაცევტული საშუალებებით და სამედიცინო დანიშნულების საგნებით, ოთახში არის სველი წერტილი ნიჟარით, ბუნებრივი განათების და განიავების შესაძლებლობა. სკოლის ექთანთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, სკოლის ექთანი არის უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე პირი. ადგილზე დათვალიერებისას გადამოწმდა მედიკამენტების შენახვის პირობები და მათი ვარგისიანობა, მედიკამენტების გაცემა აღირიცხება ექთნის მიერ სპეციალურ ჟურნალში, გამოკრულია პირველადი სამედიცინო დახმარების მექანიზმები. მოსწავლეებისა და თანამშრომლებისათვის სამედიცინო მომსახურების ორგანიზაცია გაწერილია სკოლის ექიმის (ექთნის) თანამდებობრივ ინსტრუქციაში. მოსწავლეთა და თანამშრომელთა მომსახურება ხდება ორი სახით: 1) პროფილაქტიკური მომსახურება; 2) პირველადი დახმარება. სკოლაში ფუნქციონირებს საგანგებო სიტუაციების სამოქალაქო თავდაცვის შტაბის პირველადი დახმარების სამედიცინო რგოლი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• თანამდებობრივი ინსტრუქციები; • საშტატო განრიგი; • ხელშეკრულება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• უმაღლესი სამედიცინო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი; სერტიფიკატი; • ინტერვიუ; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად, სკოლაში შემუშავებულია და დირექტორის მიერ დამტკიცებულია „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები'', რომელიც შეთანხმებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. დისციპლინური დარღვევების განხილვის მიზნით, შექმნილია დისციპლინური საბჭო. სკოლის შემოსასვლელში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სკოლის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური. შემუშავებულია მასწავლებლების მორიგეობის განრიგი და სკოლის სივრცეში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფენ მორიგე მასწავლებლები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები'' ; • განათლების და მეცნიერების სამინისტროს წერილი წესრიგის დაცვის წესის შეთანხმების შესახებ (MES 6 20 00391796; 20.05.20); • ხელშეკრულება დაცვის თანამშრომელთან; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანების მოთხოვნების გათვალისწინებით, შეძენილი აქვს შიდა და გარე სამეთვალყურეო ვიდეო კამერები. სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების'' 35-ე და 36-ე მუხლები არეგულირებს ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის ადმინისტრირების საკითხს და ვიდეოჩანაწერის დათვალიერების უფლებამოსილ პირებს. ვიზიტის პერიოდში, სკოლას მიეცა რეკომენდაცია სკოლის ეზოში დაეყენებინათ დამატებით ვიდეოკამერა, რომელიც გააკონტროლებდა სკოლის ეზოში შემოსასვლელ კარს. ამასთან, სპორტულ დარბაზში დამონტაჟებული იყო ვიდეოკამერა, რომელიც გამორთული იყო და არ ფუნქციონირებდა. სკოლის წარმომადგენლების განმარტებით, აღნიშნული კამერა არჩევნების დროს დააყენეს და თავად სკოლა მას არ იყენებდა. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტების რეკომენდაცია და ვიზიტის პერიოდში მოხსნა კამერა სპორტულ დარბაზში და დაამონტაჟა სკოლის დერეფნის იმ ნაწილში, რომელიც არ კონტროლდებოდა უსაფრთხოების კამერით. სკოლამ ასევე დაამონტაჟა უსაფრთხოების ვიდეოკამერა სკოლის ეზოში შემოსასვლელის გაკონტროლების მიზნით. ამდენად, ამ ეტაპზე, სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი სრულად კონტროლდება 15 ვიდეოკამერით (მათ შორის, 4 გარე კამერაა).
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიდეოკამერების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; • ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები''; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ,,ნიჭიერთა კერძო სკოლა-აკადემიას“ წარმოდგენილი ჰქონდა გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობათა დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი წესდება, სკოლის შინაგანაწესი, თანამდებობრივი ინსტრუქციები/დებულებები. ექსპერტები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და რიგ საკითხებთან დაკავშირებით სკოლას მიაწოდეს რეკომენდაციები. კერძოდ, წარმოდგენილი წესდება, რომელიც დარეგისტრირებულია 2000 წელს შეიცავდა ინფორმაციას (სკოლის სტრუქტურა, სწავლების მიმართულებები, სასწავლო პროცესის ორგანიზების სისტემა და წესი, მასწავლებელთა პროფესიული განვითრების სისტემა და ფორმები), რომელიც არ შეესაბამებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და სკოლის ამჟამად არსებულ სტრუქტურას და სწავლების სისტემას. ექსპერტებმა სკოლის წარმომადგენლებს მისცეს რეკომენდაცია, შეეტანათ წესდებაში ცვლილებები და შესაბამისობაში მოეყვანათ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან (რეკომენდაციის საფუძველი - საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 29 ნოემბრის N791 ბრძანება - ,,სამეწარმეო საზოგადოებების სტანდარტული წესდებების დამტკიცების შესახებ“). სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტების რეკომენდაცია და ვიზიტის პერიოდში შეიმუშავა წესდების ცვლილებების პროექტი. ექსპერტებს შენიშვნები ჰქონდათ შინაგანაწესთან მიმართებითაც. კერძოდ, შინაგანაწესში (II თავი, მუხლი 2.13) სამუშაოზე მიღებისას წარსადგენ დოკუმენტაციაში სავალდებულოდ იყო მითითებული შრომის წიგნაკის წარმოდგენა. ექსპერტებმა სკოლის წარმომადგენლებს განუმარტეს, რომ მოქმედი კანონმდებლობა შრომის წიგნაკის წარმოდგენის ვალდებულებას არ ითვალისწინებს. სკოლამ ექსპერტების რეკომენდაცია სრულად გაიზიარა შინაგანაწესის იმ ნაწილებთან დაკავშირებითაც (VIII თავი, მუხლი 8.2.3 და X თავი, მუხლი 10.1.6),

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	რომლებიც განსაზღვრავს სკოლაში მოსწავლის იერსახეს და მოსწავლეთა ქცევას შესვენებებზე. ექსპერტებმა ასევე განმარტება მისცეს სკოლის წარმომადგენლებს ჩანაწერთან დაკავშირებით, რომელიც არასაპატიო გაცდენების გამო ითვალისწინებდა სახდელის სახით ადმინისტრაციული საკონტროლო სამუშაოს დანიშვნას მოსწავლეებისათვის (XII თავი, მუხლი 4), რადგან დაუშვებელია აკადემიური საქმიანობის გამოყენება დასჯის მიზნით. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტების მიერ მიცემული ყველა რეკომენდაცია და ვიზიტის პერიოდში შეიტანა ცვლილებები შინაგანაწესში. **<u>ექსპერტების მიერ შედგენილი დასკვნის პროექტის საფუძველზე, სკოლამ არგუმენტირებულ წერილით (N19, 30.05.2022წ.) წარმოადგინა უკვე განახლებული წესდება, რომელიც დარეგისტრირებულია იუსტიციის სახლში (იხ. დანართი).</u>**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა-აკადემიის სადამფუძნებლო შეთანხმება (წესდება) 11/05/2022 წ. - პროექტი, ახალი რედაქცია; • აქტი შინაგანაწესში ცვლილებების შეტანის შესახებ; • კორექტირებული შინაგანაწესი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) (2021-2027წწ) და ერთწლიანი (2021-2022წწ) სამოქმედო გეგმები. განვითარების გრძელვადიანი გეგმა გულისხმობს შემდეგ მიმართულებებს: მართვისა და გადაწყვეტილებების სისტემატიზაცია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება, სკოლის კულტურის გაუმჯობესებაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ზრუნვა. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში დეტალიზებულია განსახორციელებელი საქმიანობა, განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები და ინდიკატორები/შემოწმების წყაროები. 2020-2021 სასწავლო წლის ბოლოს სკოლის ადმინისტრაციამ განახორციელა კვლევა, მონაცემთა ანალიზის საფუძველზე დადგინდა სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები და შეიმუშავეს სკოლის განვითარებაზე ორიენტირებული სტრატეგიული მიზნები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• გრძელვადიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. • კვლევის ანგარიში; • ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების ინსტრუქცია (შპს ,,თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა აკადემიის“ თანამდებობრივი ინსტრუქციები/დებულებები'“, მუხლი 10), სადაც დეტალურად არის გაწერილი საქმისწარმოებასთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ, შემოსული კორესპონდენციის მიღებასთან დაკავშირებული პროცედურები, სკოლაში დოკუმენტების შექმნის და აღრიცხვის წესი, დოკუმენტების რეკვიზიტები, დოკუმენტის სახეები, გასაგზავნი დოკუმენტების დამუშავების წესი და ა.შ. სკოლაში არსებობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვის ჟურნალი. დირექტორის ბრძანებები აკინძულია საქაღალდეში. ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალები აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილია და დალუქული, აქვს დირექტორის ბეჭედი და ხელმოწერა. სკოლიდან გასული და შემოსული კორესპონდენციების აღრიცხვის ჟურნალები აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილია და დალუქული - აქვს დირექტორის ბეჭედი და ხელმოწერა. მოსწავლეთა ანბანური წიგნი – მითითებულია მოსწავლის დაბადებისა და სკოლაში შემოსვლის თარიღები, კლასი, ბრძანების ნომერი, პირადი საქმის ნომერი. აღნიშნული წიგნი აკინძულია, ზონარგაყრილია,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დანომრილია და დალუქული. აქვს დირექტორის ბეჭედი და ხელმოწერა. სკოლას გააჩნია მოსწავლეთა და მასწავლებელთა პირადი საქმეები, აქვს ელექტრონული რეესტრი. პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილია და დალუქული - აქვს დირექტორის ბეჭედი და ხელმოწერა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს ,,თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა აკადემიის“ თანამდებობრივი ინსტრუქციები/დებულებები“; • შემოსული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი; • გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი; • საერთო ბრძანებების ჟურნალი; • ხელშეკრულების რეგისტრაციის ჟურნალი; • საქმისწარმოების წესი; • ვიზუალური დათვალიერება და შესაბამისი ფოტომასალა.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ,,ნიჭიერთა კერძო სკოლა აკადემიის“ დირექტორის 2021 წლის 14 სექტემბრის N51 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის 2021-2022 წლის საშტატო განრიგი. თითო საშტატო ერთეულით წარმოდგენილია შემდეგი თანამდებობები: დირექტორი, დირექტორის პირველი მოადგილე, საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე, დირექტორის მოადგილე სასწავლო აღმზრდელობით დარგში, სამეურნეო ნაწილის მენეჯერი (0,5 საშტატო ერთეული), ექიმი (ექთანი), ფსიქოლოგი, იურისტი, ბიბლიოთეკარი, საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი, აიტი მენეჯერი, დაცვის თანამშრომელი, თვალსაჩინო მასალებისა და სტს ცენტრის უფროსი, დამლაგებელი (2 საშტატო ერთეული), დღის გახანგრძლივებული ჯგუფის მასწავლებელი (5 საშტატო ერთეული), გახანგრძლივებული ჯგუფის ინგლისური და რუსული ენის მასწავლებლები, სამოქალაქო თავდაცვის კონსულტანტი, სასწავლო პროცესის კოორდინატორი, ხარისხის მართვის განყოფილების მენეჯერი, კლასის კურატორი (16 საშტატო ერთეული), სამხატვრო წლის მასწავლებელი, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, პერსონალური ასისტენტი, მასწავლებელი (27 საშტატო ერთეული), მეეზოვე, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურული, იერარქიული წყობის თანახმად, პარტნიორთა კრება სკოლის უმაღლეს, მმართველობით ორგანოს წარმოადგენს, რომელსაც ექვემდებარება სკოლის დირექტორი. ექსპერტებმა სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემიდან (Eschool) პორტირებული მონაცემების საფუძველზე, განიხილეს სკოლაში არსებული თანამშრომლების რაოდენობრივი მონაცემები და სტატუსები. როგორც გაირკვა, ვიზიტის პერიოდში (11.05.2022წ.) სკოლაში 49 პირი იყო დასაქმებული. სკოლას შედგენილი აქვს დოკუმენტი, რომელშიც წარმოდგენილია თანამდებობრივი ინსტრუქციები/დებულებები და განსაზღვრავს დაწესებულების მართვის ორგანოებისა და სტრუქტურული ერთეულების კომპეტენციას და უფლება მოვალეობებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	აღსანიშნავია, რომ თანამშრომელთა მიერ საკუთარი ფუნქციების გაცნობა, დადასტურებულია უშუალოდ დოკუმენტში (შპს ,,თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა აკადემიის“ თანამდებობრივი ინსტრუქციები/დებულებები”) - თითოეული სამუშაო აღწერილობას მოსდევს შესაბამის პოზიციაზე დასაქმებული პირის ხელმოწერა და მითითებულია დოკუმენტის ,,გაცნობის,, თარიღი. გარდა ამისა, სკოლას შედგენილი აქვს სტრუქტურული ერთეულების დებულებები, სადაც აღწერილია მათი მიზნები და ამოცანები, ვალდებულებები, სხდომების ორგანიზებასთან დაკავშირებული რეგულაციები და ა.შ. ექსპერტებმა შეისწავლეს სკოლის ექთნის პირადი საქმეც, როგორც გაირკვა, იგი განათლების ნაწილში აკმაყოფილებს ექთნისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებს (საფუძველი, „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ, 2022 წლის 21 მარტი.). საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამშრომელთა პოზიციები, დეტალურად გაწერილი მათი უფლება-მოვალეობანი და სტრუქტურული ერთეულების დებულებები საფუძველს აძლევს ექსპერტებს ივარაუდონ, რომ სკოლაში დასაქმებული პირები უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესის ორგანიზებულად წარმართვას და ორიენტირებულნი არიან სკოლის განვითარებაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს ,,ნიჭიერთა კერძო სკოლა აკადემიის“ დირექტორის 2021 წლის 14 სექტემბრის N51 ბრძანებით დამტკიცებული სკოლის 2021-2022 წლის საშტატო ერთეულები; • სკოლის სტრუქტურული, იერარქიული წყობა (სქემატური გამოსახულება); • შპს ,,თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა აკადემიის“ თანამდებობრივი ინსტრუქციები/დებულებები”. • პორტირებული მონაცემები მართვის საინფორმაციო სისტემიდან (Eschool);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• სტრუქტურული ერთეულების დებულებები; • სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები; • ინტერვიუ სკოლაში დასაქმებულ თანამშრომლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	25
მოწვეული/მაძიებელი	3/3
პრაქტიკოსი მასწავლებლი	1
უფროსი მასწავლებლი	18
წამყვანი მასწავლებლი	0
მენტორის სტატუსი	0

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ,,ნიჭიერთა კერძო სკოლა აკადემიის“ პედაგოგები ჩართულნი არიან მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. ექსპერტების მიერ მართვის საინფორმაციო სისტემის (Eschool) პორტირებული მონაცემების, მასწავლებლებთან დადებული ხელშეკრულებების და საათობრივი დატვირთვის განხილვისას აღმოჩნდა, რომ სკოლაში დასაქმებულ გარკვეულ პედაგოგებს (სულ 3) არ ჰქონდათ მინიჭებული სტატუსი და შესაბამისი ხელშეკრულებაც გაფორმებული იყო როგორც ,,უსტატუსო მასწავლებელთან“. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტები დაინტერესდნენ, საქართველოს მთავრობის N241, 23.05.2019წ. დადგენილების - ,,მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად (მუხლი 38, პუნქტი ,,4“ და ,,5“), ხომ არ ჰქონდა გამოცხადებული სკოლას კონკურსი პრაქტიკოსი მასწავლებლისათვის განკუთვნილი ვაკანსიების შევსების მიზნით, რაზეც უარყოფითი პასუხი მიიღეს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ვიზიტის მიმდინარეობისას, სკოლამ უზრუნველყო დასაქმებული პედაგოგების ხელშეკრულებების (შეთანხმების ფორმით) კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა. კერძოდ, 2 პედაგოგის შემთხვევაში, მათი საათების გადანაწილების საფუძველზე (მაგალითად, სკოლის ერთ-ერთი ,,უსტატუსო,, მასწავლებლის კვირეული დატვირთვა 10 საათს შეადგენდა), გაფორმდა შეთანხმებები, როგორც მოწვეულ პედაგოგებთან და შესაბამისი მონიშვნაც განხორციელდა Eschool - ის ბაზაში. რაც შეეხება მესამე პედაგოგს (სპორტის მასწავლებელს, რომლის საათობრივი დატვირთვა 27 საათს შეადგენდა), ვაკანსიის შევსების მიზნით დაიწყო შესარჩევი კონკურსის პროცედურები (2022-2023 წლისთვის) - შესაბამისი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტები წარმოდგენილია თანდართულ დოკუმენტაციაში. სკოლის პედაგოგების პირადი საქმეების დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ ისინი შეიცავენ პირად მონაცემებს, განათლების და სტატუსის დამადასტურებელ დოკუმენტაციას (არსებობის შემთხვევაში), თუმცა, პირად საქმეში არ იყო წარმოდგენილი ცნობები ნასამართლობის და ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობის შესახებ (საფუძველი: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №174/ნ, 20.08.2019წ. ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ - მეორე მუხლი, პუნქტი ,,3“ და ,,4“ და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის №463 ბრძანებით დამტკიცებული დადგენილება - „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“, მესამე მუხლი, პუნქტი ,,1“). თუმცა, ვიზიტის მიმდინარეობისას, სკოლის პედაგოგებმა განაცხადით მიმართეს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს (იხ. დანართი) შესაბამისი ცნობების მოთხოვნის მიზნით. <u>**არგუმენტირებული წერილით სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა ცნობები ნასამართლობის და სქესობრივი თავისუფლებისა და**</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობის შესახებ (იხ. დანართი). გარდა ამისა, საქმეშია სპორტის მასწავლებლის შერჩევის მიზნით გამოცხადებული კონკურსის ოქმი (N19, 25.05.2022წ.), საიდანაც ირკვევა, რომ აპლიკანტების რეგისტრაცია შესარჩევ კონკურსზე არ განხორციელებულა და შესაბამისად, ის ჩაშლილად გამოცხადდა. თუმცა, შპს თბილისის ნიჭიერთა სკოლის დირექტორის ბრძანებით N40, 27.05.2022წ., უკვე განსაზღვრულია სპორტის მასწავლებლის შერჩევის მიზნით ახალი, ჩასატარებელი კონკურსის ფარგლებში კანდიდატთა განაცხადების მიღების ვადები და მოიცავს მიმდინარე წლის 27 მაისიდან 1 ივლისამდე პერიოდს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მართვის საინფორმაციო სისტემის (Eschool) პორტირებული მონაცემები; • მასწავლებლებთან დადებული ხელშეკრულებები და შეთანხმებები; • პედაგოგთა საათობრივი დატვირთვა; • ვაკანსიის შევსების მიზნით შედგენილი ბრძანებები N38 და N39, 11.05.2022წ. - ,,შპს თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა აკადემიაში კონკურსის გამოცხადებისა და კანდიდატთა განაცხადების მიღების ვადის განსაზღვრის შესახებ“ და ,,შპს თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა აკადემიაში ვაკანტური საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ“; • სკოლის თანამშრომელთა მიმართვა შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსადმი - ცნობების მოთხოვნის მიზნით; • ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შინაგანაწესის II თავი მთლიანად ეთმობა სკოლის თანამშრომლების სამუშაოზე მიღების, გადაყვანისა და დათხოვნის წესს, საიდანაც ირკვევა, რომ შპს თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა-აკადემიაში თანამშრომლების მიღება ხდება საკონკურსო შერჩევის საფუძველზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	კონკურსის გამოცხადების წესი (მუხლი 2.5) ითვალისწინებს სკოლის დირექტორი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის საფუძველზე დადგენილ პროცედურებს და განსაზღვრავს კანდიდატთა განაცხადების მიღების ვადებს. კონკურსის შესახებ განაცხადი უნდა გამოქვეყნდეს საჯაროდ, ინტერნეტ სივრცეში არსებულ დასაქმების ვებგვერდზე - www.pedagogi.ge /teacherjobs.ge . კონკურსს ატარებს სკოლის კომისია, რომელიც შედგება მინიმუმ 3 წევრისაგან. კომისიის შემადგენლობაში აუცილებლად უნდა იყოს სკოლის დირექციის წარმომადგენელი და შესაბამისი საგნობრივი კათედრის წევრი. თითოეულ კომისიას უნდა ჰყავდეს თავმჯდომარე და მდივანი. კომისიის შემადგენლობაში შესაძლებელია მოწვეულ იქნას გარეშე პირი. შინაგანაწესი განსაზღვრავს საპრეტენზიო კომისიის შექმნასაც. კერძოდ, პირს კომისიის შედეგების გასაჩივრება შეუძლია კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში - კონკურსის პროცედურებისა და შედეგების გასაჩივრებისათვის პირმა განაცხადი უნდა შეიტანოს სკოლის დირექტორის სახელზე, რომელიც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ქმნის საპრეტენზიო კომისიას. შინაგანაწესის VI თავი აღწერს თანამშრომლის წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ასპექტებს. სამუშაო მოვალეობების სანიმუშო შესრულებისათვის, კეთილსინდისიერი მუშაობისათვის, ნოვატორობისათვის, აღსაზრდელების (მოსწავლეების) სწავლებასა და აღზრდაში მიღწეული წარმატებებისთვის გამოიყენება წახალისების შემდეგი სახეები: მადლობის გამოცხადება, პრემიის გაცემა, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება. დეტალურად არის განხილული მასწავლებელთა პასუხისმგებლობა შრომის დისციპლინის დარღვევისათვისაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს ,,ნიჭიერთა კერძო სკოლა აკადემიის“ შინაგანაწესი; • ვაკანსიის შევსების მიზნით შედგენილი ბრძანებები N38 და N39, 11.05.2022წ. - ,,შპს თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა აკადემიაში კონკურსის გამოცხადებისა და კანდიდატთა განაცხადების მიღების ვადის განსაზღვრის შესახებ“ და ,,შპს თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა აკადემიაში ვაკანტური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ“; • გასაუბრება სკოლის თანამშრომლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალთან და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. აღსანიშნავია, რომ ყველა ხელშეკრულება იდენტურია. ხელშეკრულებების მე - 4 მუხლი ,,თანამდებობა და შესასრულებელი სამუშაოს სახე“ გარდა თანამშრომლის პოზიციის მითითებისა, მოიცავს საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილ რეგულაციებს, თუმცა, ხელშეკრულებაში არ არის მითითებული თანამშრომლების ფუნქცია-მოვალეობები. ექსპერტებმა კითხვით მიმართეს სკოლის დირექციის წარმომადგენლებს აღნიშნულთან დაკავშირებით - როგორც გაირკვა, ვინაიდან ყველა თანამშრომელი სკოლის მიერ შედგენილი დებულებაში (შპს ,,თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა აკადემიის“ თანამდებობრივი ინსტრუქციები/დებულებები”) ხელმოწერით ადასტურებდა ფუნქციების ,,გაცნობას,,, მათ მიზანშეწონილად აღარ ჩათვალეს ხელშეკრულებაში ფუნქციების მითითება. ექსპერტებისთვის საყურადღებო აღმოჩნდა ხელშეკრულების მე-5 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს მუშაობის დაწყების თარიღს და შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობას - 5.1. და 5.2. პუნქტის თანახმად, ,,მუშაობის დაწყების დროა ამ ხელშეკრულებაზე დასმული თარიღი“ და ,,შრომითი ურთიერთობის ვადა შეადგენს 1 სასწავლო წელს“. აღნიშნული პუნქტები ეწინააღმდეგება ერთმანეთს, რადგან, ხელშეკრულებათა დიდი ნაწილი გაფორმებულია 06.07.2021წ. რიცხვით და აღნიშნული თარიღი არ ემთხვევა სასწავლო წლის დაწყებას (საკამათოა, სკოლის მასწავლებლებისათვის სასწავლო წლის დაწყების პერიოდიც) და გარდა ამისა, ბუნდოვანია, სასწავლო წლის დასრულების თარიღად რას მიიჩნევდა დამსაქმებელი (ან, დასაქმებული).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ექსპერტების რეკომენდაციის საფუძველზე (ანგარიშგების სისტემის ეფექტურობა, დოკუმენტის ხელმისაწვდომობა და ა.შ.) განხორციელდა სკოლის წარმომადგენლების მიერ ხელშეკრულებების შეთანხმებების პროექტის შედგენა, რომელშიც აისახებოდა როგორც თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობები, ისე, ხელშეკრულების მოქმედების ვადებთან დაკავშირებული რეგულაციები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები; • შპს ,,თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა აკადემიის“ თანამდებობრივი ინსტრუქციები/დებულებები’’ • შეთანხმების ფორმის ნიმუშები; • თანამშრომლებთან გაფორმებული შეთანხმებები (სულ 2); • ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან და იურისტთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ,,თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა აკადემიის“ ზრუნავს სკოლის თანამშრომელთა და მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე. სკოლას შედგენილი აქვს პროფესიული განვითარებისა და წინსვლის სქემაში ჩართული მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, რომლის მიზანია: სკოლის მასწავლებელთა პროფესიული საჭიროების გამოკვეთა და განვითარება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში ხარისხის ჯგუფის ფუნქციებისა და საქმიანობის განხორციელების პროცედურების განსაზღვრა, მასწავლებელთა საქმიანობაზე დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით, სკოლაში იგეგმება სხვადასხვა აქტივობები (თავი IV, მუხლი 11), მათ შორის, თანამშრომელთა შორის გამოცდილების გაზიარება, სხვადასხვა სახის ტრენინგების ჩატარება, მასწავლებელთა გადამზადება და ა.შ. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის პედაგოგთა შეფასებისა და წახალისების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	,,რეიტინგულ-დაგროვებითი“ სისტემა, რომელიც პროფესიული განვითარების მიმართულებით მოტივაციის ზრდას განაპირობებს პედაგოგებში. დოკუმენტის თანახმად, სკოლაში დანერგილი მასწავლებელთა შეფასების რეიტინგულ-დაგროვებითი სისტემა ორი ნაწილისაგან შედგება: პირველ ნაწილში შედის აუცილებელი მინიმუმი, ის საქმიანობები, რომელიც ყველა მასწავლებელმა უნდა შეასრულოს. მეორე კი, დაგროვებითი ნაწილია, საიდანაც მონაწილე სასურველი ქულების რაოდენობას “აგროვებს”, რათა კომპეტენტურობის გარკვეულ დონეს მიაღწიოს. მასწავლებელთა შეფასების მოცემულ სისტემაში შესრულებული საქმიანობები ფასდება საქმიანობაზე დახარჯული საათების მიხედვით. საუბრისას, სკოლის დირექცია ადასტურებს, რომ სკოლა ხელს უწყობს დაწესებულებაში დასაქმებული სხვა თანამშრომლების პროფესიულ განვითარებას. მაგალითისთვის, სკოლამ საკუთარი ხარჯებით უზრუნველყო სკოლის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის გადამზადება, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• პროფესიული განვითარებისა და წინსვლის სქემაში ჩართული მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება; • შპს თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა-აკადემიის დირექტორის N36, 07.09.2021წ, ბრძანება ,,შპს ნიჭიერთა კერძო-სკოლა აკადემიაში ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის დამტკიცების შესახებ“ • სკოლის პედაგოგთა შეფასებისა და წახალისების ,,რეიტინგულ-დაგროვებითი“ სისტემა, • შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის სერტიფიკატი და საგადახდო დავალება (დანიშნულება: შრომის უსაფრთხოების აკრედიტირებული სასერთიფიკაციო პროგრამის საფასური). • ინტერვიუ სკოლის თანამშრომლებთან და ადმინისტრაციასთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის თანამშრომლებთან, ადმინისტრაციასთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრების, დოკუმენტაციის შესწავლისა და ვიზიტის ფარგლებში დაკვირვების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ სკოლაში დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროა. პედაგოგები ინტერვიუირებისას აღნიშნავდნენ, რომ სკოლაში არსებული ურთიერთობები მხარდაჭერასა და დახმარებაზეა ორიენტირებული. ,,ოჯახური გარემო“ - ასე ახასიათებდნენ მოსწავლეები და მშობლები სკოლაში არსებულ ორგანიზაციულ წყობას. რაც შეეხება დაცულობის შეგრძნებას, აღნიშნული რეგულირდება სკოლის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლის მიერ (შესაბამის დებულებაში მითითებულია მისი ფუნქცია-მოვალეობები). როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის მთელ პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეოკონტროლი. მოსწავლეთა ფსიქოლოგიურ მდგრადობას უზრუნველყოფს სკოლის ფსიქოლოგი (დებულება, აგრეთვე განსაზღვრავს მასზე დაკისრებულ ფუნქციებს).
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ინტერვიუ სკოლის თანამშრომლებთან, მოსწავლეებთა და მშობლებთან; • თანამშრომელთა ხელშეკრულებები და თანამდებობრივი ინსტრუქციები; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი: 504 (ხუთასოთხი) გვერდი;

....

(შევსების ადგილი) ქ. თბილისი;
თარიღი: 31.05.2022წ.
გვერდების რაოდენობა: 45 (ორმოცდახუთი) გვერდი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.